დანართი დამტკიცებულია
შპს.ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის
გენერალური დირექტორის
2023 წლის ..... №.. ბრძანებით

პედაგოგიური საბჭოს დებულება

შპს.ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

2023

ზოგადი ნაწილი

1. პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც გაერთიანებულნი არიან სკოლის გენერალური დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, სკოლის დირექტორი და ყველა პედაგოგი.

2. პედაგოგიური საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონის “ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე;

3. პედაგოგიური საბჭოს აქვს დებულება და სამუშაო გეგმა, რომელსაც ამტკიცებს სკოლი დირექტორი

4. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე: სკოლის დირექტორი , რომელიც იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.პედაგოგიური საბჭოს მდივანი არის პედაგოგიური საბჭოს წევრების მიერ არჩეული პედაგოგი.

5. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებია:

   - პედაგოგიური საბჭოს სხდომების მოწვევა და წარმართვა (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და საბუთების წარმოება);
   - პედაგოგიური საბჭოს სხდომების გადაწყვეტილებების მიწოდება გენერალურ დირექტორისთვის.

6. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით.

7. პედაგოგიურ საბჭოს ყოველ წევრს აქვს უფლება თავისი ინიციატივით დასვას საკითხები,რომლებიც დაკავშირებულია სკოლის მუშაობის გაუმჯობესებასთან;

8. პედაგოგიურ საბჭოს ყოველი წევრი ვალდებულია დროულად და ზუსტად შეასრულოს პედაგოგიური საბჭსდ მიერ მიღებული დადგენილებები

პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები

1. პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს და გენერალურ დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს:

- სასკოლო სასწავლო გეგმას/სასკოლო კურიკულუმს
- საფეხურებისა და საგნების შესაბამისად სასწავლო მასალას, მათ შორის, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას.

2.პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს შემდეგი დოკუმენტების სემუშავებაში და განხილვაში:

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
- სკოლის შინაგანაწესი
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა

2. პედაგოგიური საბჭო განიხილავს:

- ცალკეული სასწავლო საგნების სწავლების მდგომარეობასა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს.
- მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისების საკითხს;
- დისციპლინური კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას მასწავლებლის ან მოსწავლის დისციპლინარულ სახდელებთან დაკავშირებულ საკითხებს;
- მასწავლებელთა სხვადასხვა ინიციატივებს სკოლის პროგრამული თუ მატერიალური ბაზის განახლებასთან დაკავშირებით;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის გეგმებში;
- კლასის დამრიგებლების სემესტრულ, წლიურ და საბოლოო ანგარიშებს;
- საგნობრივი კათედრები წლიურ ანგარიშებს;
- საგნობრივი წრეების,კლუბებისა და სხვა სასკოლო გაერთიანების შექმნის საკითხებს;
- მშობელთა ასოციაციისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობას;

პედსაბჭოს მუშაობა

- პედაგოგიური საბჭო მუშაობს მის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმით.
- პედაგოგიური საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მდივანს ერთი წლის განმავლობაში.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომები მოიწვევა სასწავლო წლის განმავლობაში: სასწავლო წლის დასაწყისში,თითოეული სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს, ასევე საჭიროების შემთხვევაში;
- პედაგოგიურ საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა.
- პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე დასწრება სავალდებულოა მისი წევრებისათვის.
- პედაგოგიურ საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა დირექტორების ან პედაგოგიური საბჭოს წევრთა 1/3 -ის ინიციატივით;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პედაგოგიური საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ ეცნობება საბჭოს წევრებს.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს 2-3 საათს.
- პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით არანაკლებ საერთო ხმების 1/3-სა.ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნ
- პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას,მას უფლება აქვს დაადოს ვეტო გადაწყვეტილებას და მოითხოვოს საკითხის სხვა დროს განმეორებითი განხილვა.
- პედაგოგიურ საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულების კონტროლს უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი;
- პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა მისი თითოეული წევრისათვის.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება პედაგოგიური საბჭოს ოქმით, რომელსაც ხელს აწერს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

პადსაბჭოს საქმისწარმოება

1. პედაგოგიური საბჭო აწარმოებს თავის საქმიანობას წინამდებარე დებულების თანახმად.
2. პედაგოგიური საბჭო აწარმოებს სხდომების ოქმებს, რომლის წარმოებაც ელექტრონულად ხდება. ოქმს ხელს აწერს პედაგოგიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.